შპს "შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექს-პერტიზის ცენტრი"

LTD "THE CENTER OF BUILDING RESEARCH AND EXPERTISE"

ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა

Tamar Mefis gam. 5ª, Tbilisi, Georgia

ტელ: (032) 2-22-77-04, **E-mail: expertisecntr@gmail.com**

02.11.2018 № 08-07-79

თქვ. № _____

ვამტკიცებ,
დირექტორი:
_____ დემური ტაბატაძე
/ხელმოწერა/ /სახელი გვარი/

ექსპერტიზის დასკვნა

ექსპერტიზის ობიექტი: ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში II ხეივნის ქუჩა №10-12-ში (ს.კ. 01.18.05.003.052; 01.18.05.003.053) მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზის ამოცანა: ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში II ხეივნის ქუჩა №10-12-ში (ს.კ. 01.18.05.003.052; 01.18.05.003.053) მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნა

თბილისი
2018 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებელები ---------- 3
2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები ---------- 3
3. წარმოდგენილი მასალები ---------- 4
4. კვლევითი ნაწილი ---------- 5
5. დასკვნა ---------- 9



დემური ტაბატაძე –

ექსპერტი: *დემური ტაბატაძე*

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებებით პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ორგანოს ხელმძღვანელის მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
2. СНиП 2.02.01-83 основания зданий и сооружений, 1983 г.;
3. Справочник проектировщика. „Основания фундаменты и подземные сооружения“. М. 1985 г;
4. СНиП 2.03.01-84* „Бетонные и железобетонные конструкции“. М. 1988 г;
5. საქართველოს მთვარობის №71 დადგენილება –„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები“ (დანართი 4);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5).

წარმოდგენილი მასალები: დამკვეთის მიერ საექსპერტოდ წარმოდგენილია შემდეგი მასალები:

ა) ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში II ხეივნის ქუჩა №10-12-ში (ს.კ. 01.18.05.003.052; 01.18.05.003.053)მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის არქიტექტურული ნახაზების ელექტრონული ვერსია.

ბ) მრავალფუნქციური კომპლექსის კომპიუტერული საანგარიშო მოდელის ელექტრონული ვერსია (საანგარიშო კომპლექსი "ლირა საპრ 2013" ფაილი სახით:

გ) მრავალფუნქციური კომპლექსის მონოლითური რკინაბეტონის მზიდ კონსტრუქციათა ტექნიკური გადაწყვეტები. მათ შორის, საძირკვლის კონსტრუქციები: მონოლითური რკინაბეტონის რანდკოჭების, ფილის, სვეტების, კედლების, დიაფრაგმების, პილონების, კიბეებისა და სართულშორისი გადახურვის კონსტრუქციების სამონტაჟო სქემები, კონსტრუქციების საყალიბე და ბეტონის მზიდი ელემენტების დაარმატურებისთვის საჭირო საშემსრულებლო ნახაზები. მათი არმირებისა და კვანძების გადაწყვეტათა ტექნიკური დოკუმენტაცია.

დ) საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები, რომელიც დამუშავებულია შპს "გენგეოს"-ს მიერ 2018 წელს ინჟინერგეოლოგ მ. ბაბილოძის უშუალო ხელმძღვანელობით.

დამკვეთის დავალების საფუძველზე, წარმოდგენილი მასალების მიხედვით შესამოწმებელია შპს „იუ-ეი-დი სტუდიას“- მიერ წარმოდგენილი მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული, კომპიუტერული საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული პროექტი ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად.

კვლევითი ნაწილი

შესავალი

ექსპერტის ამოცანას წარმოადგენს:

წარმოდგენილია ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში II ხეივნის ქუჩა №10-12-ში (ს.კ. 01.18.05.003.052; 01.18.05.003.053) მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნა და ნორმატიულ ლიტერატურაში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

კვლევა

წინამდებარე პროექტში წარმოდგენილია ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში II ხეივნის ქუჩა №10-12-ში მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი მარკით "კ" რომელიც დამუშავდა ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული ნახაზების მიხედვით მარკით "ა". შენობა შედგება სამი სეისმური ნაკერით გაყოფილი ბლოკებისაგან AB, ბლოკები და გალერეა (მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 69.70X45.5) . A ბლოკის შენობა 19 სართულიანია, 2 მიწისქვეშა სართულით. Bბლოკის შენობა 23 სართულიანია, 2 მიწისქვეშა სართულით. გალერეა 3 სართულიანია, 2 მიწისქვეშა სართულით.; პირობით ნიშნულად 0.00 მ. მიღებულია შენობის I სართულის იატაკის დონე რომელიც შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს. 381.30 მ-ს.შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი კარკასული მონოლითური რკინაბეტონის სისტემა. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლეა H=3.30 მ; შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს L=6.0 მ; საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II; სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგძ/მ2 (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ2 (თოვლის საფარის დღეთა რიცხვი -14); საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში - უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები არ არის გავრცელებული. საძირკვლის ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანი, რომლის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია: 6 სიმკვრივე 2.44 გ/სმ 3 ; სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე R =9.22 მპა (92.2.0 კგძ/სმ2); დეფორმაციის მოდული E=3000 მპა (30000 კგძ/სმ2); კლიმატური პირობები: თოვლის ნორმატიული დატვირთვა 0.50 კპა, ქარის ნორმატიული დატვირთვა 15 წელიწადში ერთხელ 0.48 კპა.შენობისა და მათი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება, მუდმივ (საკუთარი წონა), დროებით (300კგძ/მ2), ხანმოკლე (250კგძ/მ2), თოვლის (50კგძ/მ2), ქარის (85 კგძ/მ 2) და ჰორიზონტალურ 0.17გ აჩქარების (1.67 მ/წმ2) შესაბამის სეისმურ ზემოქმედებაზე, შესრულებულია შპს „იუ-ეი-დი სტუდიას" მიერ (კონსტრუქტორი ი.ურუშაძე). საპროექტო სამუშაო

დოკუმენტაციაში მიღებული მზიდი კონსტრუქციული ელემენტების პარამეტრები განსაზღვრულია კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის LIRA-SAPR2013-ის გამოყენებით. A ბლოკი: 1500, 1200, 1000 მმ დიამეტრის ხიმინჯები შეკრული ფილით =100 (სმ) ბეტონი 40; სარდაფის კედლები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით 40, 30 სმ, ბეტონი 40; დიაფრაგმები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით 30 და 20 სმ, ბეტონი 40; სვეტები - მონოლითური რკინაბეტონის 100X40, 100X60 (სმ) ბეტონი 40; რიგელები - მონოლითური რკინაბეტონის 40X50 ბეტონი 40; სართულშუა გადახურვის ფილები მონოლითური რკინაბეტონის: სისქით - 20, 18 (სმ); ბეტონი 40; კიბეები - მონოლითური რკინაბეტონის, პანდუსის სისქე 18 სმ, ბეტონი 40; =100 (სმ) ბეტონი 40;H B ბლოკი: 1500, 1200, 1000 მმ დიამეტრის ხიმინჯები შეკრული ფილით სარდაფის კედლები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით 30 სმ, ბეტონი 40; დიაფრაგმები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით 30 და 20 სმ, ბეტონი 40; სვეტები - მონოლითური რკინაბეტონის 100X40, 100X60 (სმ) ბეტონი 40; რიგელები - მონოლითური რკინაბეტონის 40X50 (სმ) ბეტონი 40; სართულშუა გადახურვის ფილები მონოლითური რკინაბეტონის: სისქით - 20, 18 (სმ); ბეტონი 40; კიბეები - მონოლითური რკინაბეტონის, პანდუსის სისქე 18 სმ, ბეტონი 40; გალერეა: საძირკველი - ფილა =80 (სმ) ბეტონი 40; სარდაფის კედლები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით 30 სმ, ბეტონი 40; სვეტები - მონოლითური რკინაბეტონის 40X40 (სმ) ბეტონი 40; რიგელები - მონოლითური რკინაბეტონის 40X50 (სმ) ბეტონი 40; სართულშუა გადახურვის ფილები მონოლითური რკინაბეტონის: სისქით - 20 (სმ); ბეტონი 40; მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მთლიანად არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტილებათა საფუძველზე შედგენილი კომპიუტერული მოდელის გაანგარიშებათა შედეგები აკმაყოფილებს მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კომპიუტერული საანგარიშო მოდელის აღწერა:

მთლიანად, შენობის როგორც ერთიანი სივრცული კარკასულ-კავშირებიანი სისტემის გაანგარიშება სასრულო ელემენტთა მეთოდით მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე ჰორიზონტალურ 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებასა და ქარის პულსაციურ დატვირთვებზე ჩატარებულია ლიცენზირებულიპ როგრამული კომპლექსის „ ლირა საპრ 2013“-ის საფუძველზე.

საანგარიშო მოდელში სტატიკური და დინამიკური დატვირთვები წარმოდგენილია შემდეგი დატვირთვების სახით:

1. სტატიკური მუდმივი. (საკუთარი წონა+იატაკის „სენდვიჩის„ წონა+ტიხრების წონა)

2. სტატიკურიდროებითიხანგრძლივი.

3. სტატიკურიდროებითიხანმოკლე. (სასარგებლოდატვირთვები)

4. ქარისსტატიკურიდატვირთვა „X„ მიმართულებით.

5. ქარისსტატიკურიდატვირთვა „ „მიმართულებით.

6. სეისმურიზემოქმედება (სპექტრულიმეთოდით) „X„ მიმართულებით.

7. სეისმურიზემოქმედება (სპექტრულიმეთოდით) „ „მიმართულებით.

8. სეისმურიზემოქმედება (სპექტრულიმეთოდით) 450 –იანიკუთხისმიმართულებით.

9. სეისმურიზემოქმედება (სპექტრულიმეთოდით) 1350 –იანიკუთხისმიმართულებით.

10. სეისმურიზემოქმედება (სპექტრულიმეთოდით) 150 –იანიკუთხისმიმართულებით.

11. სეისმურიზემოქმედება (სპექტრულიმეთოდით) 1650 –იანიკუთხისმიმართულებით.

12. სეისმურიზემოქმედებასინთეზურიაქსელოგრამებისგამოყენებით „X„ მიმართულებით.

13. სეისმურიზემოქმედებასინთეზურიაქსელოგრამებისგამოყენებით X „ Y „ მიმართულებით.

14. ქარისპულსაციურიზემოქმედება „X„ მიმართულებით.

15. ქარისპულსაციურიზემოქმედება „Y„ მიმართულებით.

შენობისმზიდიელემენტებისანგარიშიშერულებულიაძალვათაძირითად და განსაკუთრებულთანწყობაზე.

დინამიურიდატვირთვებიშეხამებისცხრილშიგანხილულიაროგორცურთიერთგამომრიცხავი. დინამიურიზემოქმედებისას საანგარიშო მოდელში გათვალისწინებულია რხევის 15 ფორმა. გაანგარიშება ჩატარებულია I და II ჯგუფის ზღვრული მდგომარეობის მიხედვით. შენობის მზიდი კონსტრუქციების გაანგარიშება ჩატარებულია გამოთვლითი კომპლექს "ლირა საპრ 2013"ის მიხედვით. საანგარიშო სქემა სივრცითია. დრეკადი ფუძე მოდელირებულია საგების ორი კოეფიციენტით (პასტერნაკის მოდელი). ხიმინჯებზე გათვალისწინებულია ჰორიზონტალური ზამბარები СНиП 2.02.03-85* მიხედვით. წინამდებარე ალბომში დამუშავებულია შენობის კონსტრუქციები, მარკით "კ", რომელშიც მოცემულია კონსტრუქციების მუშა ნახაზები: 1. კონსტრუქციების სქემები; 2. მონ. რ/ბ-ის საძირკვლის

კონსტრუქცია; 3. მონ. რ/ბ-ის კედლების და დიაფრაგმების კონსტრუქციები; 4. მონ. რ/ბ-ის სვეტების კონსტრუქციები; 5. მონ. რ/ბ-ის რიგელების კონსტრუქციები; 6. მონ. რ/ბ-ის გადახურვის ფილის კონსტრუქციები; 7. მონ. რ/ბ-ის კიბეები. აღსანიშნავია საექსპერტიზოდ წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტის მაღალი დონე, როგორც შინაარსობრივად, ასევე გაფორმების თვალსაზრისითაც. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის ადვილად აღსაქმელი და სრული.

დასკვნა

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში II ხეივნის ქუჩა №10-12-ში(ს.კ. 01.18.05.003.052; 01.18.05.003.053) მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის პროექტის კონსტრუქციული მუშა ნახაზები შესრულებულია მაღალ ტექნიკურ დონეზე და პასუხობს ქვეყანაში მოქმედ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. ნაგებობის ფუძეები, საძირკვლები და შემადგენელი კონსტრუქციული ელემენტების კვეთები და არმირებები, ლითონის კონსტრუქციების კვეთები შეესაბამება კომპიუტერული საანგარიშო მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის საფუძველზე მიღებულ არმირებებს და შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში II ხეივნის ქუჩა №10-12-ში(ს.კ. 01.18.05.003.052; 01.18.05.003.053) მრავალფუნქციური კომპლექსის კონსტრუქციული პროექტი აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვენებს და ეძლევა დადებითი შეფასება .

ექსპერტი:
პროფესორი, საექსპერტო გამოცდილება 20 წელი,
შრომითი მოღვაწეობის სტაჟი 45 წელი დ.ტაბატაძე



სრული პროფესორი

დემური ტაბატაძე

(CV)

სტუ-ს საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	კოსტავას ქ. № 68, სტუ-ს I სასწავლო კორპუსი, IV სართული, ოთახი ბ-430
ეროვნება	ქართველი
დაბადების თარიღი	1949 წლის 23 ივლისი
ოჯახური მდგომარეობა	ცოლშვილიანი

საკონტაქტო ინფორმაცია

ქვეყანა, ქალაქი		საქართველო, ქ. თბილისი
მისამართი		ქ. თბილისი, აბაშიძის 41, ბ. 17
PHONE/FAX	**სამ.**	60-30 36-35-06
	ბინა	+(99532) **22-77-04**
	მობ.	899 17-98-23
E-mail:		demuritabatadze@yahoo.com; demuri 10@ mail.ru.

კვალიფიკაცია

- ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, „სამშენებლო მექანიკა“, საქართველოს ენერგეტიკის ინსტიტუტი. 28 ოქტომბერი 1983 წ. დისერტაცია „ანაკრები გუმბათოვანი კონსტრუქციების გამოკვლევა დრეკადი და პლასტიკური საანგარიშო მოდელების გამოყენებით“. ხელმძღვანელი პროფესორი მ. მიქელაძე.
- ინჟინერ მშენებელი, ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1971 წლის ივნისი. თემა: „ანაკრები გუმბათის გაანგარიშების შესახებ“. ხელმძღვანელი დოც. ჟ. კომპანიონი.

განათლება

- 1974-1978 წწ. ასპირანტურა, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი. გამოყენებითი მექანიკის განყოფილება.
- 1966-1971 წწ. ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი.

პედაგოგიური აქტივობა: (სალექციო კურსები)

- სამშენებლო მექანიკა (ბაკალავრიატი),
- სეისმომედეგობა (ბაკალავრიატი).
- თხელკედლიანი სივრცითი სისტემები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა)
- სამშენებლო მექანიკის სპეცკურსი (მაგისტრატურა).

სამეცნიერო აქტივობა:

- ფილებისა და გარსების ოპტიმალური დაგეგმარება.
- დრეკად-პლასტიკური სისტემების და ანაკრები კონსტრუქციების ზიდვის უნარის საკითხები.
- ფილებისა და გარსების გაანგარიშების საკითხები მათი გეომეტრიული და ფიზიკური მახასიათებლების ნახტომისებური ცვლილებების გათვალისწინებით.
- სამფენოვანი ფირფიტებისა და გარსების გაანგარიშება მასალის დრეკად-პლასტიკური თვისებების გათვალისწინებით.
- შენობების, როგორც დისკრეტულ-კონტინუალური სისტემების გამოკვლევა, მიწისძვრისას აღძრული იმპულსურ ზემოქმედებაში.

რჩეული სამეცნიერო შრომები

1. დ. ტაბატაძე. მერიდიანულ კვეთებში შეპირაპირებული ელემენტების მქონე ანაკრები გუმბათის გაანგარიშებისათვის. საქ. მეცნიერებათა აკადემია „მოამბე“ 91 №2, 1978.
2. დ. ტაბატაძე, ი. კაკუტაშვილი. ანაკრები ბრუნვითი გარსების გაანგარიშება მასალის მყიფე-პლასტიკური თვისებების გათვალისწინებით. საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომების კრებული №9(291), 1985.
3. დ. ტაბატაძე. დრეკად გარემოში დეფორმაციული ანაკრები ცილინდრული რეზერვუარის გაანგარიშება. საქ. მეცნიერებათა აკადემია „მოამბე“ 120 №3, 1985.
4. დ. ტაბატაძე. ანაკრები ორთოტროპიული ბრუნვითი გარსების რაციონალური სისქის შერჩევა. საქ. მეცნიერებათა აკადემია „მოამბე“ 124 №3, 1986.
5. დ. ტაბატაძე. იდეალური ფენოვანი კონსტრუქციის ანაკრები სფერული გარსის გაანგარიშება. საქ. მეცნიერებათა აკადემია „მოამბე“ 124 №2, 1986.
6. დ. ტაბატაძე, ნ. მამათელაშვილი, თ. ჯავახიშვილი. ორი კონცენტრული წრიული რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული ფილის დრეკად-პლასტიკური წონასწორობის შესახებ. საქ. მეცნიერებათა აკადემია „მოამბე“ 134 №П, 1986.
7. დ. ტაბატაძე. ანაკრები ორთოტროპული ბრუნვითი გარსების ზიდვის უნარისა და ოპტიმალური დაგეგმარების შესახებ. „ხის და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციების სრულყოფა და ანგარიში“ შრომების კრებული, პეტერბურგი, 1996.
8. დ. ტაბატაძე, ვ. თარხნიშვილი, მ. მშვენიერაძე. ხვრეტებით შესუსტებული ანიზოტროპული ფილების გაანგარიშების შესახებ. ჟურნალი „საშენი მასალები და ნაკეთობები“, №3, 1998.
9. დ. ტაბატაძე, ვ. თარხნიშვილი, თ. ბაციკაძე. ხვრეტებით შესუსტებული ფირფიტის გაანგარიშებისათვის, ბრტყელი ამოცანის დაყვანა ჩვეულებრივ დიფერენციალური განტოლებებში. საქ. მეცნ. აკადემია „მოამბე„ 158 №1, 1998 (ინგლისურად).
10. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი. გეომეტრიულად არაწრფივი დამრეცი გარსების რაციონალური სისქის შერჩევის შესახებ. სტუ, შრომების კრებული №1(427), 1999.
11. დ. ტაბატაძე. სწორკუთხედის ფორმის განივკვეთიან დახრილ არხში სითხის ლამინირებულ დინებაზე ამოცანის ზუსტი გადაწყვეტა. ჟურნალი „ენერგია“ №1(13), 2000.
12. დ. ტაბატაძე, ი. ღუდუშაური, მ. ყალაბეგაშვილი. მართკუთხა ფორმის დახრილ არხებში

სითხის ლამინირებული დინების შესახებ. საქ. მეცნ. აკადემია „მოამბე“ 162 №2, 2000.
13. დ. ტაბატაძე, ვ. თარხნიშვილი. სამკუთხა პრიზმის სახით დატვირთული კონტურით დაყრდნობილი მართკუთხა ფირფიტის გაანგარიშების პრაქტიკული მეთოდი. მეცნიერება და ტექნოლოგია №4-6 2001.
14. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი. მართკუთხა ფილების და დამრეცი გარსების გაანგარიშება დიდი გადაადგილებისა და საყრდენთა ჯდენის გათვალისწინებით წრფეთა მეთოდის ინტეგრალური ვარიანტის გამოყენებით. პროფესორ მ. მიქელაძის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომების კრებული, 2001.
15. დ. ტაბატაძე, ზ. მაძაღუა, დ. დანელია, რ. ცხვედაძე. ზოგიერთი საინჟინრო ამოცანის გადაწყვეტა წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის შეცვლით ექვივალენტურ ალგებრულ განტოლებათა სისტემით. ჟურნალი მეცნიერება და ტექნოლოგიები №1-3, 2002.
16. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი. ზოგიერთი მოსაზრება მიწისძვრისას კარკასული ნაგებობის სვეტებზე დარტყმის ეფექტის გათვალისწინებისათვის. სამშ. მექ. და სეისმ. ინსტ. შრომები, თბილისი, 2003.
17. დ. ტაბატაძე რ. ცხვედაძე, მ. ყალაბეგაშვილი, რ. გიორგაძე სქელი ფილის ღუნვის სივრცითი ამოცანის გადაწყვეტა ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის შრომები, 2003.
18. დ. ტაბატაძე, ი. მელაშვილი, გ. ქორქია. ღრუ ღეროს კრიტიკული ძალის ექსპერიმენტალური გამოკვლევა მჭიმი დიაფრაგმის გამოყენებით. ჟურნალი „მშენებლობა“, №2, 2006.
19. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი, ლ. კახიშვილი. შენობის, როგორც დისკრეტულ-კონტინუალური სისტემის გრძივი რხევები გამოწვეული მიწისძვრისას აღძრული იმპულსური ზემოქმედებით. ჟურნალი „მშენებლობა“ №4(4), 2008.
20. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი, მ. ჩხიტუნიძე. შენობის როგორც დისკრეტულ-კონტინუალური სისტემის გრეხითი რხევები გამოწვეული მიწისძვრისას აღძრულ იმპულსურ ზემოქმედებაში. ჟურნალი „ინტელექტი“ №1(33) თბილისი 2009.
21. რ. ცხვედაძე, ზ. მაძაღუა, დ. ტაბატაძე, დ. ჯანყარაშვილი. უჭრი კოჭების გაანგარიშების გამარტივებული მეთოდი. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებელი“, № 1(16). 2010. გვ. 17-20.
22. Калабегашвили М.Г., Табатадзе Д.В., Кахишвили Л.И., Купарадзе Л.П., Чхитунидзе С.Г. О нелинейных колебаниях здания. работающего в пределах каждого этажа на сдвиг, при импульсном перемещении грунта. Научно-технический журнал «Строительство» № 2(17), 2010.
23. მ. ყალაბეგაშვილი, დ. ტაბატაძე. გრუნტის იმპულსური გადაადგილებებით გამოწვეული ორი შეყურსული მასის არაწრფივი რხევების შესახებ ღეროების მხოლოდ ძვრაზე მუშაობისას. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, № 1-3, 2010.
24. R. Tskhvedadze, G. Kipiani, D. Tabatadze. Calculation of shills and plated constructed from composite materials. Conference, Experimental, Applied Mechanics; Experimental Mechanics of High performance Systems. June 7-10. Indianapolis, IN USA. 2010. pp. 28-29.
25. Guduchauri, R. Tskhvedadze, A. Sokhadze, D. Tabatadze. Solution of spatial tasks of rods with cross-sections of different forms using the double trigonometric series. Georgian international Journal of Science and Technology. ISSN 1939-5825. Volume 2, Number 1, Nova Science Publishers, Inc. 2010, pp. 63-71.

სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები

1. დ. ტაბატაძე, რ. ცხვედაძე. მეთოდური მითითებები პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად ფილების ღუნვის თეორიაში. თბილისი, სპი 1985.
2. რ. ცხვედაძე, დ. ტაბატაძე ჩარჩოების გაანგარიშების მიახლოებითი მეთოდები

(დამხმარე სახელმძღვანელო) სტუ-ს გამომცემლობა, 1997.
3. რ. ცხვედაძე, დ. ტაბატაძე. ღეროვანი სისტემების მდგრადობა. სახელმძღვანელო. სტუ-ს გამომცემლობა, 1997.
4. რ. ცხვედაძე, დ. დანელია, ზ. მაძაღუა, დ. ტაბატაძე ღეროებისა და მართკუთხა ფირფიტების ღუნვაზე გაანგარიშების პრაქტიკული მეთოდი. „სტუ“-ს გამომცემლობა, თბილისი, 2000, მონოგრაფია.
5. რ. ცხვედაძე, ი. ღუდუშაური, დ. ტაბატაძე. დრეკადობის თეორია. სახელმძღვანელო. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2005.
6. რ. ცხვედაძე, დ. ტაბატაძე, ს. კაკუტაშვილი. სამშენებლო მექანიკა. I ნაწილი. სახელმძღვანელო. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი. 2006.
7. დ. ტაბატაძე, რ. გიორგაძე, რ. ლორთქიფანიძე. ლითონის წამწისა და ჰიდროტექნიკური საკეტის გაანგარიშება-კონსტრუირება. მეთოდური მითითებები. თბილისი „მეცნიერება“ 1985.
8. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი, რ. ცხვედაძე. მეთოდური მითითებები თხელკედლიანი სივრცული სისტემის გაანგარიშების თეორიაში. „ტექნიკური უნივესიტეტი“, თბილისი, 2004.

სამეცნიერო კონფერენციები

1. დ. ტაბატაძე, რ. ცხვედაძე. დრეკადი და პლასტიური წრიული ელემენტების შედგენილი ანაკრები წრიული ფილებისა და სფერული გუმბათის გაანგარიშებისათვის. XXIII რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. სპი, 1981.
2. დ. ტაბატაძე. ანაკრები გუმბათის დრეკადი ელემენტების გაანგარიშება. ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. 1984.
3. დ. ტაბატაძე, გ. ბაზღაძე, ნ. მამათელაშვილი. პლასტიკურობის წარმოქმნის პროგნოზირება ფილებსა და გარსებში. საქ. მეცნ. აკადემიის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. 1990.
4. დ. ტაბატაძე. წყვეტილმახასიათებლიანი მრუდწირული ფილების პლასტიკური დეფორმაციების გავრცელების პროგნოზირების შესახებ. სტუ პროფ. ა. გორგიძის 90 წელთან დაკავშირებით უწყვეტ ტანთა მექანიკის პრობლემებზე საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები, 1997.
5. დ. ტაბატაძე. ანაკრები დრეკადი ფილების გაანგარიშებისათვის. სტუ პროფ. ა. გორგიძის 90 წელთან დაკავშირებით უწყვეტ ტანთა მექანიკის პრობლემებზე საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები, 1997.
6. დ. ტაბატაძე, რ. ცხვედაძე, ვ. თარხნიშვილი. წყვეტილმახასიათებლიანი გარსებისა და ფილების გაანგარიშების შესახებ. სტუ საერთაშორისო სიმპუზიუმის მოხსენებათა თეზისები, 1998.
7. დ. ტაბატაძე, ი. ჭურაძე, ვ. თარზნიშვილი. ნებისმიერი მოხაზულობის გვირაბის გაანგარიშების შესახებ. სტუ საერთაშორისო სიმპუზიუმის მოხსენებათა თეზისები, 1998.
8. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი. წყვეტილმახასიათებლიანი დამრეცი გეომეტრიულად არაწრფივი გარსის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე საყრდენების ჯდენის გავლენის შესახებ. გარსების მექანიკის აქტუალ. პრობლემები, საერთ. კონფერენციის შრომები, ყაზანი, 1998.
9. დ. ტაბატაძე, ვ. თარხნიშვილი. ხვრეტებით შესუსტებული თხელი დრეკადი გარსების შესახებ. გარსების მექანიკის აქტუალ. პრობლემები, საერთ. კონფერენციის შრომები, ყაზანი, 1998.
10. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი, ი. ღუდუშაური. გარსების მექანიკის შესახებ ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში. კაზანის საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებათა თეზისები, 2000.

11. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი, ი. ღუდუშაური. ანიზოტროპული დამრეცი გარსების წყვეტილი ამონახსნების შესახებ, ძვრის დეფორმაციების და სასრული ჩაღუნვების გათვალისწინებით. კაზანის საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებათა თეზისები, 2000.
12. დ. ტაბატაძე, რ. ცხვედაძე. დრეკად ფუძეზე მდებარე ფილების ანგარიში ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში. პროფესორ მ. მიქელაძის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომების კრებული, 2001.
13. დ. ტაბატაძე, თ. შუკაკიძე. Об одном методе расчёта нелинейно-упругих круглых пластинок при больших деформациях. საერთაშორისო კონფერენცია უწყვეტ ტანთა მექანიკის პრობლემები, შრომები, 2007.
14. დ. ტაბატაძე, ზ. ზივზივაძე. ანიზოტროპული პრიზმული ძელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრა არათანაბარი ტემპერატურული ზემოქმედების შემთხვევაში. საერთაშორისო კონფერენცია „მექანიკის არაკლასიკური ამოცანები“, ქუთაისი. 2007.
15. დ. ტაბატაძე, მ. ყალაბეგაშვილი, ლ. კახიშვილი. On Framework Building Columns seismic Impact Effect. საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 2008.

საზოგადოებრივი საქმიანობა

- პროფბიუროს მდივანი.
- ფაკულტეტის სასწავლო-მეთოდური კომისიის წევრი.
- ფაკულტეტის საბჭოს წევრი,
- ფაკულტეტის დიპლომების დაცვის სახელმწიფო კომისიის წევრი.
- დისერტაციის დაცვის კომისიის წევრი.
- საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი.
- საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ კორესპოდენტი

სამუშაო გამოცდილება

1971-75 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი ინჟინერი.

1975-83 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი ტექნიკური სექტორის ხელმძღვანელი.

1992-2009 – ს.ს.ი.პ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

2009 – ს.ს.ი.პ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

1992-2006 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო და სეისმომედეგობის კათედრის დოცენტი.

2006-2009 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

2009-2012 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო მექანიკისდა სეისმომედეგობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

2012-დღემდე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშე-ნებლო მექანიკის და სეისმომედეგობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

გამოცდილება	პროექტი 249. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი. თემა „მიწისძვრისას კარკასულ შენობების

	სვეტებში დარტყმის ეფექტის გათვალისწინება“ 2007-2008 წ. ძირითადი შემსრულებელი. პროექტი 5526. „ნავთობის ნათელი ფრაქციების გამოსავლიანობის გაზრდა და მათი გაკეთილშობილება“. 2.1. თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია MHTC. პროექტი 5486. „მინერალური ზეთების წარმოება და ნამუშევარი მოტორული ზეთის რეგენერაცია“. თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია MHTC. პროექტი 5464. „ექსტრემალური ჰიდროდინამიკური მოქმედებების პროგნოზირება ჰიდროსისტემებში და გარემის დაცვა“. თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია MHTC. 2002-2014 წლების განმავლობაში მრავალი შენობა-ნაგებობის ექსპერტიზა.მდგრადობის გამოკვლევა, ნაგებობათა ურთიერთ გავლენის გამოკვლევა მშენებლობის პროცესში. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა
ენები	ქართული – მშობლიური რუსული – კარგად გერმანული – ლექსიკონის დახმარებით
კომპიუტერული პროგრამები	Windows Ms Word Ms Excel Internet Explorer AutoCAD Лира.
2014 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით	

ასოცირებული პროფესორი დემური ტაბატაძე